ფასი 10 კაპ.




მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ, იუმორისტულ, კარიკატურე-
ბიან ჟურნალ

„ეშმაკის მათრახ“-ზე

ჟურნალი ღირს ერთი წლით—5 მანეთი
ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—50 კ.

ვინც 1908 წლისათვის გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს გამოუგზავნის რედაქციას, ამ წლის „ეშმაკის მათრახი“ 1-ლი ნომრიდან უფასოთ გაეგზავნება.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე „შუამავლის“ და „შურდულის“ ყველა ნომრები, რომელიც გაეგზავნება მსურველს თითო შაურათ.

ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:

Тифлисъ въ редакцію жунала „Ешмакисъ Матрахи“. Михайловская 65.

## † ვასო ურუშაძე.

კვირას, 11 ნოემბერს, თფილისში გარდაიცვალა ახალგაზრდა შეგნებული და თავდადებული მუშა ვასო ურუშაძე.

ბევრ ამხანაგს დასწყვიტა გული ვასოს უდროო სიკვდილმა, რადგან ამგვარი ამხანაგი არც თუ ისეთი ხშირი მოვლენაა.

ვასო ასოთ-ამწყობი იყო. ჯერ კიდევ 1901 წელს გაფიცვისათვის ის სამი თვით დააპატიმრეს და ციხის რეჟიმი, ისიც იმ დროინდელი, ცხადია სიამოვნებას არ მიაყენებდა. მაგრამ რა თქმა უნდა ვერც გასტეხდა მის ნაწრთობ გულს. ის უფრო ენერგიულათ ჩაება საერთო საქმეში. 1903 წელს ვასო ისევ დაიჭირეს და სამი თვე გაატარა პოლიციის ნაწილში. ვისაც გამოუცდია, იმან იცის რას ნიშნავს სამ თვეს საპოლიციო ნაწილში ჯდომა.



ვასო ურუშაძე.

პოლიციიდან განთავისუფლების შემდეგ არ გასულა ორიოდ თვე, რომ ვასო ისევ დაიჭირეს და სამი წლით **ვოლოგდის** გუბერნიაში გადაასახლეს, საიდანაც დაბრუნდა 1905 წლის 20 თებერვალს. ვასო ისევ შეუდგა თავის საყვარელ საქმეს, მაგრამ 29 აგვისტოს ქალაქის დარბაზში მწარეთ სცემეს მას, რამაც განსაკუთრებული გავლენა იქონია მის ჯანმრთელობაზე.

1905 წლის ოქტომბერში კიდევ დაატუსაღეს ვასო, მაგრამ მანიფესტის შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს.

დაიწყო თუ არა რეაქცია, ვასოსაც დაუწყეს ძებნა. 1906 წლის 7 იანვარს დააპატიმრეს და სამი თვის ციხეში ჯდომის შემდეგ, ისევ ჩრდილო გუბერნიებისაკენ უკრეს თავი. რამდენიმე ხნის შემდეგ იქიდან წამოვიდა და თფილისს შემოაფარა თავი, სადაც ათი თვის ავათმყოფობის შემდეგ განუტევა ტანჯული სული.

თფილისის მუშები დიდხანს ატარებენ გულში საყვარელი ამხანაგის ხსოვნასა.

---

### ამხ. ვასოს ხსოვნას.

რომ ვიძახოთ ვაი, ვუი—
შენ სახელს არ შეშვენდება:
ერთი კვდება და მის ნაცვლად
სხვა ათასი იბადება.

მახსოვს, როცა თითზე ვთვლიდით
საიმედო ვინ იქნება,
ცოტა იყვენ ასეთები,
მათში ვასოც ჩაითვლება.

ბევრი „მოკვდა“ და მრავალი
დღესაც ისევ იტანჯება,
მაგრამ რიცხვი მებრძოლების
არ კლებულობს—სულ იზრდება.

მაშ არ გტირით ვაი, ვუით—
კვდება ვინც რომ იბადება,
გულს არ ვიტეხთ, რადგან ვიცით
ჩვენი არის გამარჯვება.

**ა. ჭანჭათელი**

## ეშმაკის მოგზაურობა.

აშკარათ ჩემი მტერი ჩავიდა ოზურგეთში, წამში გაგიკრავენ ხელებს და ყოველთვის სად დაგირჩება ასიანი? ამიტომ ჩავიცვი სახალხო სკოლების დირექტორის მუნდირი, გავიკეთე ჰალარა წვერები, დავიხურე შვიდ კაკარდიანი ქუდი და ისე გეახელით, ვითომ სამეურნეო სკოლის ანგარიშების სარევიზიოთ.

ხერხი რომ სჯობია ღონესაო, ეს ცხადი და უეჭველია, მაგრამ უნდა გენახა საბრალო ინსპექტორი სკოლისა. იმას მართლა სარევიზიოთ მოვედი ეგონა და შიშით ცახცახებდა. ალბათ ფიქრობდა: გაშინჯავს ამ ანგარიშებს და გამოაქვეყნებსო. საბრალო! ვის რათ უნდა მისი ანგარიშები და მით უმეტეს მე?! აი თუნდა ავილოთ ეს გასავალი:

1) ლინეიკა და დროგი მწვანილების საზიდავათ 200 მან.

2) ცხენი (რომელმაც ინსპ. გასეირნების შემდეგ განუტევა სული) 120 მ.

3) მეორე ცხენი 140 მანეთი.

ამგვარათ სულ დახარჯულა 6 თვეში 460 მანეთი

შემოსავალი 2 წლის განმავლობაში:

1) ბადრიჯანი 3 მანეთის.

2) ყურძენი 1 მ. 50 კაპ.

3) ვაშლი „ 8 კაპ.

4) 2 სტაფილო 1 კაპ.

5) ალუჩა და ტყემალი $2\,^1/_2$ კაპ.

6) სასუქი $4\,^3/_4$ გირვანქა 3 კაპ.

შესდგა სულ 4 მ. $64\,^1/_2$ კაპეიკი.

ინსპექტორის შესაშინებლათ მე წარბი შევიჭმუხნე და მრისხანეთ მოვახსენე: „თქვენზე ამბობენ თითქო ეს ლინეიკა და ამისთანობა სასეირნოთ გეყიდოთ და არა საქმისათვის. დღევანდელ პირობებში ეს არ შეიძლება! ხომ ხედავთ თითოეული მოსამსახურე პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას და თქვენ კი რაებს ჩადიხართ მეთქი.“

შეცფა საწყალი, მაგრამ როგორ შეცფა!!! იფიქრა: ეს არის ახლა დავიღუპეო. აბა რა იცოდა თუ მე უბრალო ეშმაკი ვიყავი და არა დირექტორი, თორემ იცოცხლე საქმეს წამკიდებდა! ვინ იცის იქნებ კიდეც გახარებოდა ეს ამბავი, რადგან დირექტორი ნაჩალნიკია და მე კი უბრალო გამვლელი.

ინსპექტორმა სადილათ მიმიპატიჟა, მე ჯერ თანხმობასავით განვაცხადე, მაგრამ როცა გავიგე ოზურგეთის „წარჩინებული“ საზოგადოებაც აქ იქნებაო, უცებ შევიცვალე აზრი და ვუბრძანე ეტლი მოეყვანათ. ინსპექტორის ალერსს საზღვარი არა ჰქონდა. მე კი გულში მეცინებოდა და რომ ეს სიცილი არ წამწარებოდა ისევ უკან გამოვკურცხლე. მისი ანგარიშები თავში იხალოს ბ-ნმა ინსპექტორმა. ან კი რა ჩვენი საქმეა ცხენებისა და დროგების ანგარიში,

*
* *

როცა რომ ქუთაისი კლუბებით აივსო და ერთი „რა ამბავია“ ადგა. ეს დემოკრატიული კლუბიაო, ეს არისტოკრატიულიო და ძაღლი პატრონს ველარ სცნობს.

შევცოცდი დემოკრატიულში და ძლიერ მომეწონა; მშვენიერი ლოტოს სათამაშო, ჩიხტი-კოპით გამოწყობილი ქართველი დედებითაა გარემოცული. აქვე არიან მათი ქალიშვილები თავისი „კავალრებით“, (ხშირათ შეხვდები თურმე მოსწავლე ახალგაზრდობასაც).

აქვე გვერდზე გახურებული კარტის თამაშია; ისმის ნარდ-კამათლების წკრიალი და ბილიარდის ჰახუნი. ერთი სიტყვით შესანიშნავი რამეა და გაგიკვირდება კაცს, როცა ასეთ შესანიშნავ დაწესებულებას ქუთაისში ხედავ. 3 ნოემბერი ეს ღირსშესანიშნავი დღეა ქუთაისის ისტორიაში, რადგან სწორეთ ამ დღეს გაიხსნა „საკრებულო“ კლუბი. ამავე დღეს წარმოდგენაც გაიმართა კლუბის პატარა სცენაზე. შესანიშნავათ წაიკითხეს „записки сумасшедшаго“. გასაკვირიც იქნებოდა ცუდათ რომ წაეკითხათ!! ვინაიდან ეს ბუნებრივია ბევრისათვის.

მაგრამ ქუთაისი რიღას ქუთაისია, რომ ერთი და ორი კლუბი ეყოს. ჩინოვნიკებმა და „ზუბრებმა“ განიზრახეს საკუთარი კლუბის დაარსება და კიდევაც დაიარსეს „ქუთაისის კრუჟოკი“.

ამ ორ კლუბთა შორის ახლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა, ან ერთი უნდა მოისპოს, ან მეორე, მაგრამ რაღა სულ მე ვილაპარაკო სამ ნოემბერს, „საკრებულოს“ სცენაზე ბ-ნმა დ. მესხმა ასეთი ლექსი წაიკითხა „ზუბრთა“ კლუბის შესახებ:

„ერთი იყო ქუთაისში,
ახლა გახსნეს ორი კლუბი!
ვითომ ერთი არ კმაროდა?
неужели всѣ такъ глупы?!
იმ ძველ კლუბში მეტ ნაწილათ
წვრილფეხობა დადიონო“!
იუცხოვეს მათთან გავლა:
რაღაცაებს სჩადიანო.
გასართობათ ერთი კმარა
თუ გსურს გითხრათ დასტურია,
და გართობა ცეკვის მეტი
ალარაფერი გვწყურია.
ხოლო თუ კი უკადრისობთ
და გაურბით მცირებს ამდროს
ისეთი რა ჩაიდინეს,
თქვენ დიდებსაც არ გეკადროთ?“

დაასრულა თუ არა ავტორმა შეიქნა ერთი ტაშის ცემა და მეც დამავიწყდა რა ჩემი თანამედროვე მდგომარეობა კინაღამ ვიშიშვლე მათრახი, მაგრამ....

ეშმაკი.



### საგულისხმიერო.

ნიშადურელ „ნავს“,
თვითვე „მწივან ყვავს“,
ლექსსა რომ ჩაახავს
და თავს იჯოხავს:

ტყე სდგას უკვე ტიტველი,
რისხვით უბერავს ქარი,
ზღვამ შექნა ღრიანცელი,
ჯანყია საშიშარი.

ფედერალისტს მოუნდა
ზღვაზე ეფრინა „ნავი“,
მაგრამ გადაუბრუნდა
და შლამში ჩარგო თავი.

ნ. ზომლეთელი.

---

## გურული სცენა

### ტაქტიკა.

— ესიკას გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს მასიკოს?

— ქორწილს როისიზა აპირობ ესიკავ?

— რა დროის ქორწილია ძამიავ, ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს შობოდაო, ხანჭკს მიარ თუ? როისიზა ვაპირობ და ტამბაჩოვის გათხოვას რომ მუათავებ მაშინიზა!

რას ყაშმიერობ ჩემი ძამიეი, ქორწილი კი არა იმფერ გუნებაზე ვარ რომ მგონია კვერცხივით შევასკდები ვინცხას, რაცხა რომ არ მაკავებდეს. ქეა კაცო ნათქვამი: „დათვმა რომ მოგერიოს, ბაბაი დუუძახეო“ მარა ერთი მითხარი შენი კაი ბაბაი ნუ წაგიწყდება, ამფერი ბაბაი თუ გინახავს? რა გითხრა იცი, მოჯაყვა ამას იქით

არ წავა, მოგვეჭრა თავი, მევიკიცხეთ, გარეთ გამოსაყოფი თავი ალარ გვაქვს, გასამჭყერი თვალი დაგვეფსო, უწინ გურული, რომ მათხოვრათ წევიდოდა ან კურტანს მეიკიდებდა, მეგრელი ვარო იტყოდა, ახლა ისე დაგვაჯდენ კისერში — ისე მოვიკაკვეთ, რომ ახლანდელ გურულობას თავსხლაფი დამესხეს მეგრელობა კი არა, ყორიფელი სიავე ჯობია, რამდენ სირცხვილს გუუძლოს კაცმა რომ არ ვიცი... სახლი დაგვიწვეს, გაჩერდი ტაქტიკააო, დაგვაჩოქეს — დუუჩოქეთ აგიც ტაქტიკააო, ვინცხამ, ვინცხა მამა სულ ძალლი, ზეიზერ აყროლებული ფშიონი მოკლა მის წონა ოქროთ შიაფასეს, ჩაგვიყენეს ეგზეკუცია და მოგვთხარეს — მეითმინე ტაქტიკააო, ქალს გამიცკიდენ მიეწიენ ლობის ძირში და კარგა მაგრათ ჩაპროშტეს — არ დაბერო სული ტაქტიკააო, ახლა კიდევ ახალ ღენერალ-ღუბერნატორს პრიკაზი გამოუგზავნია უჩემოთ ქალს ნუ შეირთავთო... თუ ღმერთმა გაძაღლებული სული არ ამომართვა, იმასაც კი მივესწრები რომ გამუა პრიკაზი: ახალ მოყვანილთან უჩემოთ არ დაწვეო და ამის მოთმენა თუ ყველაი ტაქტიკაა, დაყუდებული ბერობა ყოფილა თქვენი ტაქტიკა და მეტი არაფერი.

პიტნა.

---

## პოლიტიკური ეკონომია.

(!თუ ხათრი გაქვთ წაიკითხეთ ბ. ჭალარას პოლიტიკური ეკონომია, ეკალში!)

იტყვიან „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“! ბრძნული თქმულებაა!!! ბ-ნი „ჭალარას“ პოლიტიკური ეკონომია უკვე იაპონურ ენაზედაც ითარგმნება (კატაიიმას მიერ) და ჩვენ კი ყურადღებაც არ მიგვიქცევია. „გვიან სჯობს ვიდრე არასოდესო“ ამბობს მეორე ანდაზა და მეც იმედი მაქვს მაპატიებენ მკითხველები ასეთ დაუდევრობას. ახლა კი ვეცდები: რაც შეიძლება პოპულიარული ენით გადმოგცეთ თითოეული ლექციის შინაარსი.

მაშ დავიწყოთ მესამე ლექციიდან, რადგან აქ სულ ერთია თავი და ბოლო, ვინაიდან ეს პოლიტიკური ეკონომია სახალხოა.

გავარკვიოთ რა არის **წარმოება.**

წინა წერილიდან ჩვენ ვიცით რა არის მეურნეობა; მაგალითად: ხის დარგვა, ეს მეურნეობა ანუ წარმოებაა. ამ განმარტების შემდეგ ჩვენ ვიხმართ წარმოებას.

ჩვენ ვხედავთ რომ ადამიანი ოფლს ღვრის. რატომ ღვრის ახლა ის ოფლს? მას აქვს სხვა და სხვა გვარი მოთხოვნილება ოფლი ღვაროს. განვითარებულ ადამიანს მეტი მოთხოვნილება აქვს და მაშასადამე მეტი ოფლი ეღვრება*).

ავილოთ მაგალითად პირველ-ყოფილი ადამიანი. მას უნდა ტანისამოსი. ის პოულობს წვეტიან ქვას, მონახავს ბეწვიან ნადირს, გამოეკიდება, ესვრის ქვას, გააძრობს ტყავს და ჩაიცვამს. ასეთი მოქმედებით ისაზღვრება მისი შრომის თვისება. ეს დღესავით ცხადია:

ავილოთ მეორე ადამიანი, რომელსაც შია. ის პოულობს ფქვილს, შოულობს თორნეს, მოზელს ცომს, დააგუნდავებს, გაატატაშებს, ჩააკრავს თორნეში, გამოაცხობს და ჭამს. ამით განისაზღვრება მისი მოქმედების ხასიათი.

მაგალითებიდან ცხადია, რომ შრომის თვისება განისაზღვრება სამი პირობისაგან: 1) ადამიანის საჭიროებისაგან, 2) შრომის გარეშე საშვალებათაგან და 3) თვით ადამიანის სამუშაო ძალ-ღონისაგან.

პოპულიარიზაცია **ეშმაკისა.**

(შემდეგი იქნება)



## შესაძლებელია?!

ოდეს ზღვა წარხდეს,
წყალი აქაფდეს,
„თევზს არ იჭერდეს პოლიციელი“?!
„მღვდელი“ იქ იდგეს,
ცხარე ცრემლს ღვრიდეს
და დაკრეფილი ჰქონდეს გულ-ხელი?!
„ნიკო-კი“ ბჭობდეს,
არა ტორობდეს,
ყურს არ უგდებდეს მას ზღვა მსმენელი?!
„პროვიზორი“ სჯდეს,
სხვა წამალს ლესდეს,
აფთიაქში კი არ იდგეს მცველი?!

**ონისიმე.**

---

## წერილები ეშმაკისადმი.

**ბარულიდან.** საყვარელო ძმაო ეშმაკო! გვეყოს სირცხვილათ, რომ ასე მოიძულე ჩვენი სოფელი ბარული. ერთი ჩამოგვიარე შე კაცო! რკინის გზას თუ ელოდები, ეს ტყუილი ანგარიშია; მანამდე ჩვენი მოძღვარი გაბრიელი ყველას დაგვაძრობს ტყავებს. შემოიჭერი ერთი თუ ძმა ხარ, გაჰკარი მათრახი და ჩასძახე: რა დროს დრამა ფულია, ხალხს შიმშილით სული ხდება, თქვა“ და იქნებ ეშველოს რამე მის თავგასულობას. ხუცის სახლთან არ გაიარო, თორემ მისმა შვილმა ზოსიმემ შეიძლება თავისი „ПЯТИ ЗАРЯДНАЯ ВИНТОВКА“ მოგაყოლოს. სწორეთ ხათაბალაა ყმაწვილია და ერთი კუდი იმასაც გაჰკარი, მოუხდება. რაღა ბევრი მოგაწყინო თავი, მოუთმენლათ გელით და აბა შენ იცი. ჰო, გაბრიელზე ასეთი ლექსიც კი გამოთქვეს:

მიდის — მოდის გაბრიელი,
არავინ ყავს მადრიელი,
მისი მრევლის გლეხ-კაცობა
სულ დაჰყარა ცარიელი.
დრამის ფული სულ აკრიფა
არ დაინდო არც ბალნები
კაპეიკი არ გაუშვა
თუ კი ქონდა ასაღები.
სახლში უზის, თვისი პირმშო,
ჩვენი დროის „ტარიელი“
ხელში თოფით, გულში ცოფით
სხვაფრივ ერთობ ცარიელი.

**წარიანეული.**

---

**ფოთიდან.** ძვირფასო ძმაო ეშმაკო! ძალიან დაგიმადლებდით ფოთელი ნოქრები, რომ ერთს მოიცლიდე ჩვენი ვითარების გასაგებათ. ვაჭრებმა აიგდეს სწორეთ თავი! აქაო და რეაქციაა გამეფებულიო, თითონ მოინდომეს გამეფება! გესმის ძმაო? შვიდ საათზე იყო დადგენილი სავაჭროების დახურვა და აქ ათ საათზედაც ღიაა ზოგიერთი მაღაზია. შენი მათრახი ჩვენი აზრით ძალიან მოუხდება მათ გაუმაძღარ მუცელს. ზურგზე ნუ დაკრავ თუ ძმა ხარ! ისე მუცელზე გაუწკაპუნე. აბა, გიცდით *)

გ. ელისაბედიშვილი.

---

**გომახურიდან.** ძმაო ეშმაკო! ნამეტანი შეგაწუხე ამ ჩემი წერილებით, მაგრამ რა ვქნა, გარემოებას დააბრალე. არ შემიძლია არ მოგმართო, როდესაც მე საყვედურები მომაყარეს, ზოგიერთმა ჩემმა მეგობრებმა: „ყველაფერზე სწერ და გომახურის სამკითხველოს კი ივიწყებო“. ღმერთიერჯული არ ვიცოდი თუ ისიც ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც ზემო

*) მაგალითად ბ-ნ „ჭალარას“ აქვს მოთხოვნილება პოლიტიკური ეკონომიის წერისა, რაზედაც ერთობ ბევრი ოფლი ეხარჯება.

*) უნდა მოვახსენო ფოთელ ამხანაგს, რომ ჩვენგან აღბილობრივი ვაჭრებისა და საზოგადოთ უმსგავსოების ამათრახება მინდობილი აქვს ფოთის „ნავთსაყუდელში“ მდგომ „КРЕЙСЕРЬ“-ს მე ძლიერ მიკვირს მისი უმოქმედობა. ყოველ შემთხვევაში ვეცდები თქვენი სურვილი ავასრულო. გთხოვთ მხოლოდ ღირსეულ გვამთა პიროვნების კოპიოს, რომ არ შემცდეს მათრახის კუდი უდანაშაულოს არ მოხვდეს.

**ეშმაკი.**

ჩიბათის სამკითხველო, თორემ რავა დავივიწყებდი. ახლა, ამხანაგო, უალაგო არ იქნება რომ ერთი არ დაიზარებდე და შენს მათრახის წვერს წაუტკიცკინებდე იმ პირებს, რომლებმაც ეს სამკითხველო გაყიდეს და... უკაცრავათ პასუხია, ფულს ყლინწი გაადენიეს, და წიგნებიც დაабნიეს.

**შენი ნიბლია.**

## ვისი ფიქრია?

ოზურგეთს ჯარი ბინადრობს
და მიპატიჟებს იქ „სტუმრად“;
ბევრს მპირდებიან ბოძებას
ჩინს და ორდენებს საჩუქრად.
ვეწვევი. მივალ მათთანა,
ავაფრთოვანებ მით გულსა,
და კვლავ მივმართავ ჭყონიებს
და მეც დავიცავ „მამულსა“.

**ნიბლია.**




სქესობრივი საკითხი ბათუმის ქალაქის საავადმყოფოში.

## მ ი ბ ა ძ ვ ა.

იქ, ქალაქ გარეთ, სად განუწყვეტლივ
ბაყაყებისა გროვა ყიყინებს,
სად წვიმის წყალი ცით მონადენი,
ეერ გაუყინავს ვერც ზამთრის ყინვებს:
სად არე მარე ისე დამპალა,
რომ მუქთათ არვინ ეპატრონება,
სად ბინადრობას არ მოიფიქრებს
ფხიზელი ჭკუა, სალი გონება,
სადაც **ხაშმია** გამეფებული,
სად მობინადრე ბაყაყ გველია,
სადაც ჰაერი მოწამლულია,
—ციებ-ცხელება ულეველია;
სად შავი წყალის ნოყოთ ქცეული
ლერწამ-ბალახში დაგუბებულა,
სად შავი ჭირის სათავე არის,
სადაც სიცოცხლე დადუმებულა...
იქ ქალაქ ბათუმს (როგორც შეფერის
მდიდარს ფულებით), ბოლაზით ქებულს,
უანგარიშოთ ფულების მფანტველს
(დახარჯვა უნდა მუქთათ მოგებულს),
ავადმყოფთათვის სადოსტაქარო
წამოუჭიმავს სახლი-მორთული,
და დაუხარჯავს მუნ, (ცოტა რომ ვსთქვათ)
ასი ათასი მანათი—ფული.
ამ დროს „ჩლენობის“ კენჭებს ეძებდენ
თურმე (ეს კერძოთ გამიგონია)
მაგრამ მე ამ ხმებს ვერ დავუჯერებ
ცხადია ვინმეს მონაგონია.
ვის არ ეცნობა ეს სამკურნალო,
სად აშიყთ გროვა დაბუდებულა
და ავათმყოფთა მოვლა წამლობა,
მივიწყებულა, უკუგდებულა.
ბევრი მინახავს იქ მიმავალი
ხელ ცარიელი, კოხტათ მორთული,
ხოლო იქიდან, როცა დაბრუნდა,
მცირედი რამით იყო ტვირთული.

**ბლიკვაძე.**

---

## ქართველი მოღვაწეები.

იშვიათია ქართველი კაცი, რომელსაც ზაქარია ჭიჭინაძე და ვალერიან გუნია არ გაეგონოს. ორივენი ღრმათ დამსახურებულნი არიან წერასა და გამოცემაში. ვალერიანს თუმცა არ შეიძლება მოხუცი დაერქვას, მაგრამ ახალგაზრდობაზედაც კარგა ხანია გადააბიჯა. ის ცნობილია აგრეთვე, როგორც მსახიობი ქართული სცენისა.

ამიტომ ჩვენ, ძველი ჩვეულებისამებრ, განვიხილავთ მის მოღვაწეობას სხვა და სხვა დარგში ცალკე და რასაკვირველია მოკლეთ.

**1) ვ. გუნია დრამატურგის როლში.**

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია რა ეშველებოდა ქართულ სცენას, რომ სამშობლოცის ჰორიზონტზე არ ამოცურებულიყო ისეთი მნათობი ქართული მწერლობისა, როგორიც ბ-ნი ვ. გუნია ბრძანდება. სამშობლო დრამატიული მწერლობა მისმა შეუდარებელმა კალამმა ყელთამდე აამსო, უმაღლეს წერტილამდე აიყვანა სხვათა მრავალთა შორის ცნობილია მისი შესანიშნავი დრამა სამეგრელოს ცხოვრებიდან **„და-ძმა“ და აგრეთვე „ნათხარზე.“**

შურიანი ამხანაგები ათასგვარ ჭორებს ავრცელებდენ და ავრცელებენ, თითქო ყველა იმისი დრამების სიუჟეტი უცხო მწერალთაგან იყოს გადმოღებული, მაგრამ ყოველივე ამგვარ ეჭვებს ბოლო მოეღება როცა გავიგებთ, რომ საზოგადოთ ვ. გუნია არ კითხულობს უცხოთა ნაწარმოებებს.

**ვ. გუნია გამომცემლის როლში.**

მკითხველი მაშინ დააფასებს სავსებით ბ-ნი გუნიას ყოველ-მხრივ ნიჭსა და გამოცდილებას როცა გაიგებს, რომ ის არის გაზ. „ცნობის ფურცლის“ მამა. დიახ, ცნობილმა გაზეთმა გუნიას ხელში იხილა დღის სინათლე და თუმცა მის დროს ერთობ მახინჯი ვინმე ბრძანდებოდა, მაგრამ მაინც მის შვილათ უნდა ჩაითვალოს.

დღესაც ვ. გუნიას ძუძუზე იზრდება საუცხოვო საოხუნჯო გაზეთი „ნიშადუ-



ვალერიან გუნია.

რი“. ეს უკანასკნელი გაზეთი, სწორეთ შედევრია მისი გამომცემლობითი ნიჭისა და სხვა ღვაწლიც რომ არ მიუძღოდეს ბედშავი სამშობლის წინაშე, მარტო ავიც შემოსავდა დიდების შარავანდედით მის სახელს.

**ვ. გუნია „მსახიობის“ როლში.**

თუ ვინმე გამოდის ქართულ სცენაზე, ვალ. გუნიაც გამოდის! მისი დაკვირვებული და ბუნებრივი თამაში, მიუხედავათ როლების უცოდინარობისა და მოუმზადებლობისა, ყოველთვის იზიდავს მსმენელის ყურადღებას. მისი „საამური ლაპარაკის კილო“, რომლის მსგავსი არას დროს და არსად საქართველოში არავის გაუგონია, ხომ უფრო აორკეცებს მის მსახიობურ ღირსებას. შესანიშნავია ის მეტადრე უსიტყვო როლებში, თუმცა არა ნაკლების ხელოვნებით ასრულებს სხვა და სხვა ტრაღიკული და კომიკურ როლებსაც. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ქართული სცენა გარეშე ასეთი ბუმბერაზი ხელმძღვანელისა, რომელიც მფარველ ანგელოზივით თავს დასტრიალებს მას.

**ვ. გუნია ცილის მწამებლის როლში.**

ამ დარგს მოღვაწეობისას უმთავრესად ბოლო ხანებში მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ბ-მა ვ. გუნიამ და სულ მოკლე დროში შესაფერი სახელიც დაიმსახურა. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ სხვა დროს მოველაპარაკებით პატივცემულ მკითხველებს.

**ისტორიკოსი.**



ფსიხოლოგიური კაბინეტი.

# თ ა ვ ე ბ ი.

იჯდა „ეშმაკი“ დაღვრემილი
სტოლის ყურათა,
და მწარე ფიქრებს მისცემოდა
მისებურათა.
წინ ედგა სამი, (დაკიდული)
კაცის თავები...
არ იყვენ ესე, არც ჯაშუშნი,
არც „პრისთავები“
ესენი იყვენ მოღვაწენი,
ჩვენი მწერალნი;
და ერთ იმათგანს მან მიაპყრო
თვის სამზერალნი.
ვინ იყო იგი არჩეული
ჰვრეტის საგანი,
რომლისა შუბლსა განუზომა
სიგრძე და განი???
**ის იყო ჩვენი თუთიყუში**
**და მეტიჩარა,**
**უკვდავი ჩვენი მეცნიერი**
**დიდი „ჭალარა“!!!**

უჰვრეტს ეშმაკი ამ საუნჯეს
მოკრძალვით შორა,
მაგრამ ვერ გასძლო...მსწრაფლ მიიჭრა
და ეამბორა!..
უთხრა: „ოჰ შუბლო! (**„დაჩაგრულთა**
**გზაო და ხიდო**“)
ესდენი ჰკუა ერთი მითხარ
შიგ ვინ ჩაგიდო???
ვინ ჩამოჰბერა ამ შენ სივრცეს
აზრი დიადი,
რომ გაგვინათო „დაჩაგრულებს“
ღამის წყვდიადი???
მითხარ: ვინ შეჰქმნა შენი ტვინის
ნაოჭ-ნაკვთები???
მითხარი, შუბლო, და მე მისი
მონა გავხდები!!!
მარქვი: ლექცია როდის შევა
შენი ძალაში???
შენ გენაცვალე „პოლიტიკურ
თავის ქალაში“!!!
მარქვი: „ეკალი“ როდის დაჩხვლეტს
ორგულთა ხელსა,
როდის შეიძენს **რეკლამებით**
ქართველ მკითხველსა???
მითხარი შუბლო, ან შენ მითხარ
თაო ჭალარა;
მითხარი თორემ მოთმინების
შემრჩა აღარა.

—

ამაოთ ველი...
სდუმს მუნ ყოველი
სული ცხოველი,
გალობს ბულბული:
**თქვენი „ჭალარა“ ზეცით არის**
**მოვლინებული“.**

კიდევ **ეშმაკი.**

---

# შეკითხვა ეშმაკისადმი.

(ბთოხვთ განმიმარტოთ რას ნიშნავს)

სიზმრათ იხილო მხევალი
ვინმე დიდისა გვარისა,
ბოქაულთანა მწოლარე
მოძულებული ქმარისა.
არე მარესა ზვერავდეს
ვიდოდეს დაჯაშუშობდეს;
აჭერინებდეს მართლებსა,
ცხვირ-პირ დამტვრეულს უშობდეს,

**შხანკოლა.**

---

# პ ა ს უ ხ ი.

ოჰ რიგოლეტო,
დიდო პოეტო,
როგორ გაგწირო და გაგიმეტო?!
შენი „ნანინა“
ყურს ჩამედინა
მცირე პასუხი გამაბედვინა.

**რ ი გ ო ლ ე ტ ო ს.**

—

ზურგსა შენსა შოლტი ჩემი
არ მოხვდენიაო,
და თუ ახლა გაეკარი,
ბედი შენიაო!!!
ნუთუ ის ხარ, ბედნიერო,
„კვალში“ რომ სწერდიო?
„სამშობლო ცის“ კამარაზე
ბუზებს იჭერდიო!
ნუ თუ ის ხარ, „ყარამანზე“
რომ ბაასობდიო
დღევანდელ შენ „სათაყვანოს“
კბილებს ასობდიო!!
ნუ თუ ის ხარ, ის მწერალი,
ძველად „ცნობილიო“
რა ეშმაკმა დაგიჩლუნგა
ის „ბასრი“ კბილიო.
სირცხვილია რომ გამხდარხარ
ლანძღვის გუდათაო,
და მეტყველობ „ნიშადურში“
ეგრე ცუდათაო.

„გოშპარას“ არ დაგიძახებ,
(არც გეკადრებაო!)
შენ „პოეტათ“ გაჩენილხარ!
იყოს ღვთის ნებაო!!!
არც ქანქარზე მოგიყვები...
(არა მაქვს თავიო,
თორემ ჭორათ კი მსმენია
განჯის ამბავიო!)
მე მეცნობა შენი მსგავსი
ერთი ყმაწვილიო:
უსირცხვილო, ფლიდი, მრუდი
ეს—ევდოშვილიო.
მაგრამ შენ რა გაწიწმატებს?
რის გაქვს წუხილიო,
შენი ძმაა, ტყუპის-ცალი
თუ ბიძიშვილიო.
უბადრუკო! სად გაგიქრა
სირცხვილ-ნამუსიო,
რომ გუშინდელ ნამოქმედარს
ენა აუსვიო.
მაგრამ ეს ხომ ზნეთ გაგიხდა
და არც გრცხვენიაო
ჩვენო ღამის მონავარდევ,
დღეს დრო შენიაო!
მაშ შეეტკბე ახალ ბუდეს,
(რომ დაგაპურაო)
რეაქციის სხვაც ბევრი ყავს
შენებრ ლამურაო.

—

ჯერ ამ მცირეს დაგვყაბულდი
ნურც გეწყინებაო
იმედი გვაქვს შემდეგ უფრო
მოგელხინებაო.

**ეშმაკი.**



სცენა ქვედა-ბახვში.

**ესიკაი.** გაბილას გაუმარჯოს! სად მიჩქარობ კაცო? ახალი ხომ აფერი იცი?

**გაბილა.** შენც გაგიმარჯოს! ახალი რა უნდა გითხრა, იაგორა შათირიშვილს რომ ესტუმრენ წუხელის აგი ჩვენი „რევოლუციონერები“ შენც კი გეიგებდი!

**ესიკაი.** რას მიჩივი კაცო! ჩემი ძამიეი მითხარი რავა იყო, მე აფერი გამიგია, აი ახლა ვაკიჯვრის ტყიდან მოვდივარ, შეშას ვჭრიდი.

**გაბილა.** კაცო რაფერ იყო და ისთე, რომ ჩვენ აქ აღარ გვეცხოვრება, მაგინის გადაკიდული. ისე ღამე არ გეიარს, რომ რამეით თავი არ შეირცხვინონ. წუხელის დაეცენ ი. შათირიშვილს, ფული ვერ უნახეს და ტანისამოსები წეიღეს.

**ესიკაი.** ააა! იგინი ჩაქურას წაიღებდენ!

**გაბილა.** რის ჩაქურაი კაცო! პერანგები და უპკებიც კი წუღლიან. თვითონ იაგორას ვერ უცვნია თურმე, ბნელი იყო, მარა აი აქ დიმიტრაის წინ შუკაზე დიენახენ და უცნიან „პავლისტები“ იყვენ-ო. მეტი მე რა უყო და ახლა მივდივარ კაკაბთან რომ მისებურათ გაამათრახოს. კაი ხანია აღარ დუუწერია მათზე აფერი და თავი ეიშვეს.

**ესიკაი.** გაბილა! თუ ძმა ხარ მითხარი კაკაბს რომ აწერს პაწა ხუცესს აბრალებენო. შენ იცი რაიმე?

**გაბილა.** რავა არ ვიცი კაცო! გუშინ ქონდენ მაგაზე კრება და გადაწყვიტეს კაკაბი ის არისო, კაციც ბაუგზავნეს. მაგრამ იცოცხლე ხუცესმა იგინი იფრინა! უცხონდა მამა! მაგფერი ხუცესის ჭირიმე! სულ კუდით ქვა ასროლია თურმე.

**ესიკაი.** იმის ხომ აფერი გაგიგია ბარნაბაი რომ ტრაბახობდა: მე კაცი მყავს რედაქციაში, წავალ თფილისში და ყველაფერს გაგაგებიებო!

**გაბილა.** მერე რა! იყო თფილისში და ქე მოვიდა ისთე.

**ესიკაი.** შენ იგიც გეცოდინება, გავიგე მაგათი „პარტია“ იშლებაო!

**გაბილა.** ხო, როგორც ჩანს ადრე ჩაუვარდებიან კობზი ნაცარში. ისთე კი ვინც ავაზაკი იყო და არის ჩვენში, ანდა ს. დ. პარტიიდგან გაგდებული უნდო პიოპი სულ მაქ ეწერებიან.

**ესიკაი.** კი დაგაგვიანე მარა ეგებას შენ იცი მაგ პარტიას სად აქ დამოკიდებულობა?

**გაბილა.** კაცო! მაი რაღა საკითხავია? მაგი ყველამ კი იცის. მათი კომიტეტი აფთიაქია. არც ბახვის და არც ნაგომარ-ხიდისთავის აფთიაქი არ გეგონოს.

ისთე შენ ხვალ არ დააკლდე, კრება ბვექნება, უნდა ყველამ შევეხვეწოთ ეშმაკს უქნას კამანდიროვკა ხუთს ეშმაკს, მაგ ხულიგნების გასაროზგავათ.

**ესიკაი.** მშვიდობით ჩემო გაბილა, დიდი მადლობელი ვარ.

**გაბილაი.** მშვიდობით-მშვიდობით. ხვალ რო არ დაგვესწრო არ ქნა.

**კაკაბი.**

---

## ოზურგეთის არე-მარე.

(ნახულ-გაგონილი).

ბევრი, ბევრი რამ დაწერილა ამ საისტორიო ქალაქზე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთა მიერ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამეა მასზე დასაწერი. შემთხვევით მომიხდა ამ ქალაქში ჩასვლა. ამ დღეს აქ მოელოდენ ერთ წარჩინებულ პირს. ხალხი სადღესასწაულოთ მორთულ-მოკაზმული, ხატებით, დროშებით და პურმარილით ქალაქ გარეთ მიეგება მოსავალს. საინტერესო იყო პირველი შეხვედრა. აი, ეს სცენა:

ცნობილი უთვილი დეპუტაცია (სიმღერით)
„გელოდით და ჩვენც ველირსეთ
შენსა მოსვლას, ღენერალო,
ჩვენი ქვეყნის სანუგეშო,
საიმედო, სატრფიალო!
შენ რომ წახველ, იმ ერთ პირად
ხალხი თითქოს აგვერია,
მაგრამ, რაკი შენ მობრძანდი,
აწ იგი ბედნიერია.
გთხოვთ, არ გაგვიკადნიერდე
ამ კითხვისთვის: გეთაყვანეთ,
თქვენ მარტოკა ჩამობრძანდით,
თუ მეორეც მოიყვანეთ?!
კი?! მაშ, აწი რაღა გვიშავს
სარისტიანს თქვენს მძლავრ ხელში:
თავს და ცოლშვილს თქვენ გაბარებთ,
დაგენაცვლეთ კაკალ ყელში!

**წარჩინებული.**

(ამაყად, სიმღერითვე)

ისევ შენ და ისევ შენ, მშვენიერო გურია,
უნდა შენ მოგებარკო, შენი ნახვა მწყურია!
ერთხელ თუმც მიგატოვე, იყო უფროსთა ნება,
მაგრამ დღეის ამიერ საქმე სხვაფერ იქნება:
იყო და არ იყორა, შესდგა დეპუტაცია
რომელსაც შეადგენდა სამი თავი კაცია.
ბევრი შრომა გასწიეს, გასჭრა იმათმა ცდამა
და მეც გამომაგზავნა კვლავ შენსკენ მაღლით ცამა.
გენერალ-გუბერნატორს აწ აღარ მეხუმრება:
დია მაქვს მისთვის კარი, ვინც საქმით მესტუმრება,
მივიღებ, ვით მამა შვილს, თუ კი „არ მეძინება“:
მასი ჭირი—ჭირად მიჩნს და ლხინიც—მელხინება.
ისევ შენ და ისევ შენ, მშვენიერო გურია,
მსურს, შენი უფროსობა, შენი ნახვა მწყურია.

**ეხლა „მეორე“ განაგრძობს იმავე ხმაზე:**

ვეთანხმები გენერალს, რადგან მიყვარს გურია
და ვედარც კი ვშორდები, თითქო საჭაპურია.
მე მას ვერ გავეყრები: ვთელავ ოსურ შალივით
„ან გავაქრობ გურიას, ან და მოვხრი რკალივით“.
მარჯვნიდგან და მარცხნიდგან მომდის, მოედინება:
მალე კრეზიც გავხდები, თუ კი ღმერთმა ინება.
ოჰ, ისევ ის, ისევ ის... მიყვარს ჩემი გურია
რაკი მე დავუბრუნდი, ნურც შია, ნურც სწყურია...

(ამის შემდეგ წარჩინებულნი უბრძანებენ ხალხს დაშლას, ხოლო თვითონ კი გასწევენ „სრა-სასახლეებისაკენ“.)

* *
*

მობრძანებიდგან თავიანთის, დღეს მესაქსა, ჭკრეს ბუკთა და წინწილთა მოწვევად

სრულიად გურიის მამასახლისთა, მწერალთა, გზირთა, მსაჯულთა, ხევისთავთა და სხვათა მრავალთა „ხელოსანთა“. გარემოვიდოდეს ბალკონსა ზედა სამეოთვისა საერთოისა თვისთა და ეტყოდეს მათ: „ყურთა ჩემთა სმენად იდეს ვითარ მასწავლებელთა თქვენთა განიზრახეს დღისა პირველსა თვისა მის ნოემბერის უქმობა მესამესა დუმისა პატივისა ნიშნად და სკოლებსა შიგან ამა დღესა, მეტადინეობისა ადკვეთა. ამისა გამო გიცხადებ თქვენ: უკეთუ ყურთა ჩემთა კვლავადაც ესმისა ამა ამბისა სინამდვილისა ყოფა, ვფიცავ, წმინდასა სერაფიმესა და წმინდისა დავითისა წვერსა, სასწავლებელთა შიგან ჩავაყენო დამქარნი, ხოლო ცხვირნი მასწავლებელთანი მივაქციო ჩრდილოეთისა ცივისა გუბერნიებისა მიმართ, ეჭვსა ყოველსა გარეშე არს, რომელ მრისხანება ესე მბრძანებელისა თვითვე ადკვეთდა მეცადინეობასა ადკვეთაზე ყოველსა აზრსა, რომელიცა ჯერ არც ერთისა მასწავლებლისა თავსა შინა არა დაბადებულა.

* * *

მოვიდა ოცდა შვიდი ოქტომბერიც. ამ დღეს დაიწყო ჯარში ახლად გაწვეულთა კენჭის ყრა. ყველას თითო ამოუყვიდა, თუმცა ამ შემთხვევაში შავი კი ჯობიან. ადარ გასჭრათ, ამბობენ, არც სათვანელმა, არც პურმარილმა. ზოგი თურმე პრინციპიალურის მოსაზრებით ყოფილა ამაების წინააღმდეგი (ქიმთა სქესი), ზოგიც კიდევ—ტაქტიკურის (დანარჩენი სქესი). ახლათ გაწვეულთა სულიერი განწყობილება პირობების შესაფერისია. და აი რას ამბობს ერთი მათგანი:

ოცდაშვიდსა მწიოობისთვეს
გაგვიწვიეს ახლად ჯარში,
მოგვიყარეს თავი ერთად,
ვინც ვიყავით მთელ მაზრაში.
მეც ოზურგეთს ჩამიყვანეს,
იქ მათამაშეს კენჭები,
ამწონეს და კვლავ გამსინჯეს
თან გამიზომეს ბეჭები.
სთქვეს: „ზომაში გამოდისო:
საყოფია სიგრძე-განით,
მხარ-ბეჭებში განიერსა
მკლავები აქვს სავსე ჯანით.
მაშ, ეს ბიჭი გამოდგება!“.:
და ერთმანეთს თვალი უქნეს:
მეც სიაში გამატარეს,
საქმეს კუდი გამოუსკვნეს.
მე კი ოთხ წელს, ფუჭად ჩავლილს,
წინდაწინვე მწარედ ვტირი
და ვეძლევი მწუხარებას,
ჯავრით გულ-ღვიძლ განაგმირი.
ან ვინ იცის? ოთხმა წელმა
იქნებ ზედაც გადამიგოს.
და ჯერ ემაწვილს მოიმედეს
უდროვოდ წესიც ამიგოს.

ონისიმე.

## გულმოდგინე ხუცესი-პედაგოგი.

ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებლათ ყავს ვინმე მღვდელი ერმალოზათ წოდებული. ერმალოზი ძლიერ გატაცებულია თურმე „პოოშჩრენიეს“ მეტოდით—ამ მეტოდს ისე გაუტაცნია სულიერი მამა, რომ „პიატები“ და „ჩეტვიორკები“ ურიებისთვისაც-კი ჩაუმწკვრივებია. დირექტორ ჩებიშს, როცა ჟურნალში ასეთი კურიოზი უნახავს, პედაგოგისთვის შენიშვნა მიუცია, შენიშვნის წინააღმდეგ და „პოოშჩრენიის“ სასარგებლოთ მამა ერმალოზს მთელი 3 დღე და ღამე ულაპარაკია, რის ჯილდოთ ჩებიშ უძღვნია შემდეგი: „პაკი, პაკი, პოპ კანდელაკი, ნიჩეონე დელაეტ, კრომე ლაპარაკი.

ბრე



## ჩვენი დროის რაინდები.

თავის ქება როგორც უნდა
მოგახსენებ, ჩემო ნიკო!
აღარ ვფიქრავ ჩემზე მხეცი
გურიაში თუ სხვა იყო!
ორმოც და რვა წლის კაცი ვარ,
არვინ არ მყავს მადრიელი,
თვით მშობლებიც გავიძულე,
არ დავინდე მეზობელი.
ასჯერ გადამირჩა, თორემ
გავხდებოდი ცოლის მკვლელი
და ყოველგან „დაუნდობლის“
მოვიხვეჭე მე სახელი.
მე ხომ კაცად არვინ მთვლიდა!!
ჩემთვის ვიყავ გარიყული,
აღარ ვფიქრავ ვისმე ქონდა
ოდნავ ჩემი სიყვარული.
მშიერ მუცლით ვეთრეოდი,
არ გამაჩნდა გროში ფული,
ქუჩას ერთი მაწანწალა,
ცხოვრებისგან დაჩაგრული.
ბავშვობიდან თანვე დამყვა
პოლიციის სიყვარული,
მთელს მაზრაში არ ყოფილა
ჩემისთანა დაკარგული.
მაგრამ ამ დროს გაჩნდა ჭირი
ჩემთვის დიდათ მარგებელი:
ხალხის ბრძოლა! და ამ საქმემ
მომიტანა სარგებელი.
ამა დროის შესაფერათ
მე ვიხმარე ერთი ხერხი:
შევიმალე ჩემთვის ქოხში,
არ გამოვდგი გარეთ ფეხი.
ორი ძმა მყავს ერთათ არ ღირს,
მაგრამ ერთში კია სწორი:
ახალ-გაწრთვნილ ჯამუშებში
არავინ ყავთ თანასწორი.
ერთობის დროს საშვალი ძმა
რაზმში ყავდათ ერისთავად,
უმცროსი კი დიდხანს იყო
იმათ წრეშა ათის თავათ.
ამათ მარჯვეთ შემიგროვეს
მე ცნობები უთვალავი,
დანოსები დავათრიე
„გრამოტნიკთა“ გულსაკლავი.
ნადირობის დრო რო დადგა
ბრწყინვალე და მშვენიერი,
მუსრი ავლეს ბუნტოვჩიკებს,
ტყეში გარბის მთელი ერი!
ამ დროს მეც-კი გამოვძვერი,
გავიკრიჭე მოკლეთ წვერი,
ბრძოლის ველზე გავიჭიმე,
გულ-ახდილათ ხალხის მტერი.
დამსჯელ რაზმში ჩავეწერე
ვაწიოკე მთელი ერი;
კოხტა სამაზრო ქალაქი
მოვაქციე როგორც მტვერი.
რა შემაქეს უფროსებმა,
სულ ავიღე თავზე ხელი;
სტრაჟნიკობა რომ მიბოძეს,
არ დავზოგე არაფერი.
ბუნტის ბელადი შევიპყარ,
უკან შეუკარ ხელები;
ზედ მივაყოლე მრავალი
მისი პრინციპის მცველები.
ბევრსაც კი ვცემე უწყალოთ,
ლამის დავამტვრე კბილები;
მშიერ-ტიტველი დავყარე
მათი ცოლი და შვილები;
ცივი ქვეყნები გავავსე,
ყველას მოვაახარე თვალია
და თუ კრამოლა მიყუჩდა
საკუთრივ ჩემი ბრალია.
ახლა მკითხველიც მიხვდება,
თუ ღირსი არ ვარ ქებისა!
აგი დროება თუ დარჩა
ძეგლიც კი დამედგმებისა.

კორიანტელი.



## მასწავლებელი ლინგვისტი.

(ჭეშმარიტი ქართველია).

(ზეპირ-გადმოცემა).

მასწავლებელი (მოსწავლეს) მარქვი ერმათ, როგორ არს გვარი შენი?

მოსწ. ჩემი გვარის, ბატონო, ერისთავი.

მასწავლ. იცი, საიდან წარმოსდინდების გვარი შენი?

მოსწ. არ ვიცი ჩემი გვარი საიდან წარმოდინდების.

მასწ. მაშ, ყურად იღე: წინაპართა ჩვენთა მეფენი საქართველოისა უნიშნავდენ მმართველს, რომელიც ჟამსა მას შინა იწოდებოდა თავად ერისა. მაგრამ დრონი, სანეტარონი იგი შესცვალა ჟამთა ვითარებამან და ხელობა ესე წარიშალა. ქართველმა ერმა დაკარგა, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, წარწყმიდა მეფენი თვისნი და ხელობა იგი გვარათ შერჩა ნაშთთა იმა პირთასა, აწ ერისთავად წოდებულთა.

მოსწ. ბატონო, ამის გვარი საიდან წარმოდინდება? (უჩვენებს ამხანაგზე.

მასწ. მამხილე გვარი ამისი.

მოსწ. ეს, ბატონო, არის გოგობერიძე.

მასწ. არა ვუწყი დასაბამი გვარისა მაგის.

2 მოსწ. მე ვიცი, ბატონო.

მასწ. დადად ჰყავ!

2 მოსწ. მაგის გვარი, ბატონო, წამოდინდება გოგოსაგან და ბერისაგან.

მასწ. (გაჯავრებული). დაიცხრე ენა შენი და ბაგენი ნუ იტყვიან ზრახვასა მას.

ბლიკვაძე.

## დეპეშები.

(ლიკლიკაძის სააგენტოსაგან)

**ოზურგეთი.** სურათების გადამღებ დემუროვს გარდა ყველამ თავი გამოისყიდა. იმედია, იმასაც ადრე გაუშვებენ, მამა აგირაველს ორ სართულიან სახლს.

**ფოთი.** სტამბა გაჩხრიკეს, აღმოაჩინეს მღვდელმონაზონის ალექსის ნაწერები, ეპისკოპოსის ნებართვით დაბეჭდილი, რისთვის სტამბა დაბეჭდეს—იმავე დღეს ნიკო-იონისტებმა იმეჯლისეს. ტოლუმბაშობდა ნოე.

**ლანჩხუთი.** ტყუილია ის ხმები, ვითომც გადასახლებულთათვის დაებრუნებიოთ ას-ასი მანეთი ბე, სრულიათ 1600 მ.

**ოზურგეთი.** გამოვიდა ახალი პრიკაზი უნებართვოთ არ შეიძლება ქორწილებში ტოლუმბაშობა.

### სამადლობელი დეპეშები.

(ეშმაკის მათრახს)

**ახალ სენაკი.** დიდათ გმადლობთ, იმედია არც ინსპექტორ გოწია მაჭავარიანს დაივიწყებთ.

სპირ. ენუქიძე.

**ოზურგეთი.** მადლობელი ვართ ენუქიძის მაგივრად; მისი ქება იგივე ჩემი შრომის დაფასებაა, იმედია ჩვენც გაგვახსენებთ!

ექვ. გოგრასლიძე

**ყვირილა.** ძრიელ მასიამოვნეთ. მშურს ენუქიძის იღბალი იმედია ჩვენს შრომასაც დააფასებთ.

ომაინ. იოსელიანი.

## წერილი რედაქციისადმი.

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე. თქვენი გაზეთის № 7 მოთავსებულია ბ-ნი „თ ი თ ო ნ ი ც ი ს“ ლექსი: „ნადიროვის და დოლუხანოვის მამულიდან“. ეს ლექსი ცილის წამებათ მიგვაჩნია ახლად დაარსებული კოოპერატიული ამხანაგობის „შელავათის“ გამგეთა მიმართ, რისთვისაც ვიწვევთ ბ-ნს „თითონ იცის“ სამედიატორო სამართალში რომ დაგვიმტკიცოს თავისი ბრალდება.

წინაამდეგ შემთხვევაში ვალდებულათ ვთვლით „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას გამოაცხადოს, რომ ის შეცდომაში შეიყვანა აღნიშნულმა კორესპოდენტმა.

გამგეობის მონდობილობით პეტრე.

## არ დაიბეჭდება:

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, სამას სამოცო წმინდაო გიორგი შენ დამიფარე.

ღვთის პირიდან გადავარდნილო ეშმაკო!

მე ღვთის მსახურს მონას წმინდისა ქრისტეს ეკკლესიისას მამცნეს ერთგულთა ჩემთა, ვითომც შენს მოციქულს გამოეგზავნოს წერილობითი ცნობა ვითომც მე ვინმე სტრაჟთა მთავარისათვის მიმეცეს ასი მანეთი ვერცხლი და ვითომც თანამდებ ვიყო მიცემად ორასისა კიდევ და უკეთუ ესე ვითარსა არ მივცემ, მან უფროსმან სტრაჟისამან უნდა დაწვას ოდა ჩემი საყრმისა ჩემისაგან ოფლითა აგებული და ვითომც ესე ვითარი სასჯელი დამემსახურებიოს მე ქრისტეს მსახურსა მით, რომ მესმოდს და მეცეს ჭამადი განქცეულთა მათ ფირალთათვის. მართალია ეკლესია ქრისტესი გვავალებს ვცეთ ჭამადი და სმადი ყოველსა მოყვასსა, მაგრამ მე შიშითა მიწიერისა ღმერთისა არა მიყვიეს ესე და არცა ვისთვისმე ასი მანეთი ბალიშისა ქვეშე შამომიდვიეს და არცა ორასისა მიცემა აღმითქვამს ყოვლივე ესე ჭორ არს.

არცა მეორე ლექსსა საეშმაკო გაზეთსა შინა მოთავსებულსა მე-6 ნომერსა „ოზურგეთს ყავს სამი მგელი“, მე ჩემს თავს არა ვცნობ და როგორც ვიცი გამოცდილებითა ჩემითა ის უნდა იყოს უსამართლოთ დასჯილი და ვიატკასა შინა წარვლენილი მოსანანებლათ ცოდვათა არა ჩადენილთა, თანა მწირველი ჩემი ძმისწული ლავრენტად წოდებული, რომელსა არა დაეხმარა უქანქაროთ მოძღვარი ქალაქისა მის ოზურგეთისა და რომლისა შესახებ პრისტავმან კნიაზმან მან ბრძანებითა უფროსისათა ჩაიდინა საქციელი, რომელი ჯერ არს განქიქებად.

ერთი მღვდელი.

რედაქტორ-გამომცემელი

თ. ბოლქვაძე.

რედაქცია სთხოვს აგენტებს, ფული რედაქციის სახელზე გამოგზავნონ.



ამდენი ღრიალით ლამის გავსკდე და მაინც არ იღვიძებენ!

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ მიხეილის პროსპექტი, № 65.